პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივლისი 2017 წელი

ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ნიკიფორე ირბახის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პედაგოგის გრიგოლ კობახიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ნიკიფორე ირბახის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პედაგოგის გრიგოლ კობახიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X:484,985.589
Y:4,615,707.603
გრიგოლ კობახიძის ქ.
X:485,030.002
Y:4,615,594.357

გრიგოლ კობახიძე

(1910-1989)

დამსახურებული პედაგოგი. 47 წელი ხელმძღვანელობდა სკოლას და ეს სკოლა დღეს მის სახელს ატარებს

დაიბადა 1910 წელს დაიბადა ხობის რაიონის ს. ხეთაში. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო მასწავლებლად მუშაობა, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლის დირექტორად. 1954 წელს 24-ე ვაჟთა სკოლას შეცვალა სახელი და იწოდებოდა 77-ე საშუალო სკოლად, რომელსაც გრიგოლ კობახიძე ხელმძღვანელობდა 1989 წლის ბოლომდე.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად გრიგოლ კობახიძე ეწეოდა მეთოდურ საქმიანობასაც, გამოქვეყნებული აქვს რამოდენიმე ნაშრომი.

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის წოდება. ის იყო ერთადერთი მასწავლებელი საქართველოდან, ვისაც ეს წოდება მიანიჭეს. არის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ორდენის კავალერი და ამავე სახელწოდების პრემიის ლაურეატი.

77-სკოლა, რომელსაც გრიგოლ კობახიძე 47 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, იყო ერთ-ერთი მოწინავე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება, რომელმაც მრავალჯერ მიიღო გამარჯვებულის წოდება. წლების განმავლობაში საზოგადოებამ სკოლას შეარქვა სახელი „კობახიძის სკოლა“ და დღესაც ამ სახელით იცნობენ.

02/311

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ.ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ და უპასუხოთ

გიორგი ალიბეგაშვილი

13.02.17

№06/1965
13.02.17

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
სსიპ გრიგოლ კობახიძის სახელობის
ქალაქ თბილისის№77 საჯარო სკოლა
ნ.ირბახის ქ№16
☎ 2 74 76 38

MINISTRY
OF EDUCATION AND SCIENCE
OF GEORGIA
LEPL TBILISI GRIGOL KOBAKHIDZE
PUBLIC SCHOOL№77
N.IRBAKHI ST№16
☎ 2 74 76 38

e-mail: skola_kobakhidze@yahoo.com | საიდენტიფიკაციო№206031612 | საფოსტო ინდექსი: 0144

MES 1 17 00124971

13/02/2017

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

სსიპ გრიგოლ კობახიძის სახელობის ქალაქ თბილისის N77 საჯარო სკოლის დირექცია მოგმართავთ სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური კოლექტივის, მშობლებისა და ირბახის ქუჩის მცხოვრებთა სახელით, რათა ქუჩას, სადაც ჩვენი სკოლა მდებარეობს და მიმდებარე სკვერს (ირბახის ქუჩა), ეწოდოს ბატონ გრიგოლ კობახიძის სახელი.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისათვის.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი /
ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი / საჯარო სკოლები / ქალაქ თბილისის
გრიგოლ კობახიძის სახელობის №77 საჯარო სკოლა
დირექტორი
ნანა ხიდეშელი

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის
საქმისწარმოების ბიურო
№ 06/1965
"13" თებერვალი 2017 წ.
ფურცელთა რაოდენობა —1— ფურცელი
0105, თაყაისუფლების მოედანი №2